შირაქი

SHIRAKI

www.opentext.ge

გამოდის 1937 წლიდან

№30 (9.546)

17 აგვისტო 2012 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

დიდი მხატვრის მუზეუმი მთლიანად განახლდება

15 აგვისტოს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა ნიკო ფიროსმანის სახლ— მუზეუმის თანამშრომლებსა და მირზაანელებს შეხვდა. მან მუზეუმის თანამშრომლებთან ერთად კიდევ ერთხელ მოისმინა ის პრობლემები, რომელიც ცნობილი მხატვრის გარემოს სრულყოფისთვის მოსაგვარებელ საკითხთა ნუსხაშია. მინისტმა ფოროსმანის მუზეუმს საჩუქრად საოფისე ავეჯი, კომპიუტერი და პლაზმური მონიტორი გადასცა.

მირზაანში ფიროსმანის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია ყოველწლიურად ეტაპობრივად მიმდინარეობს. 2009 წელს მუზეუმში პირველად მოწესრიგდა ელექტროენერგიის პრობლემა, წყლისა და გაზის გაყვანილობა, შეიცვალა შენობის სახურავი და გასულ წელს განახლდა მუზეუმის საექსპოზიციო სივრცე. მიმდინარე წელს ფიროსმანის სახლ-მუზეუმი მთლიანად განახლდება, მუზეუმის ტერიტორიაზე დამთვალიერებლებისათვის მოეწყობა სველი წერტილები და მოწესრიგდება ტურისტული ინფრასტრუქტურა.

ნიკოლოზ რურუა: ***"მირზაანში იყო პრობლემები, რომელიც ძირითადად, მუზეუმის ინფრასტრუქტურის მოწყობას ეხებოდა. მე აქ ვარ იმიტომ, რომ ის დანარჩენი პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის ტურიზმის განვითარებას, მოწესრიგდეს და, მსოფლიო მნიშვნელობის მხატვრის გარემოში, რაც შეიძლება ბევრმა ბევრმა ტურისტმა მოიყაროს თავი"*** —განაცხადა მინისტრმა ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმში ვიზიტისას.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით უკვე დაგეგმილია ფოროსმანის ორი ნამუშევრის - „მწოლიარე ქართველი ქალის" და „თამარ მეფის პორტრეტის" რესტავრაცია.

მირზაანში ვიზიტის შემდეგ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი, კახეთის გუბერნატორთან და სხვა თანმხლებ პირებთან ერთად, ქალაქ დედოფლისწყაროს მოსახლეობას შეხვდა და მათ ხელისუფლების მიერ დაგეგმილ რეფორმებზე ესაუბრა.

ინგა შიოლაშვილი

როცა სიტყვები ზედმეტია...

15 აგვისტოს კახეთის გუბერნატორი გიორგი ღვინიაშვილი დედოფლისწყაროს ეწვია. მან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ღვაწლმოსილი ადამიანები საქართველოს მთავრობის უმაღლესი ჯილდოებით — ღირსების ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა. ღირსების ორდენებით დაჯილდოვდნენ: ბელა გოგიბერიძე (ექიმი), გოდერძი გონაშვილი (მეღვინე)და კახა წიკლაური (მწვრთნელი), ხოლო ღირსების მედლები გადაეცათ: ნოდარ ბაღაშვილს (მეღვინე), ცარო მარტიაშვილს (კულტურის სახლის დირექტორი), ვისერგი გუმაშვილს (კულტურისა და სპორტის ცენტრის სპეციალისტი) და დავით გონაშვილს (მწვრთნელი). ბევრი მათგანისთვის ეს ჯილდო მოულოდნელი იყო, ამიტომ ღვაწლმოსილი ადამიანები სიხარულთან ერთად აღელვებას ვერ ფარავდნენ და სამადლობელი სიტყვების თავმოყრაც უჭირდათ.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა ულოცავს მთავრობის უმაღლეს ჯილდოს თითოეულ ადამიანს და კვლავაც წარმატებებს უსურვებს მათ საზოგადოებრივ საქმიანობაში.

გაზეთი „შირაქი" უერთდება დედოფლისწყაროელი ღვაწლმოსილების სიხარულს, ულოცავს მათ ამ დაფასებას და შემდეგ ნომრებში თითოეულ მათგანზე ვრცელ სტატიას შემოგთავაზებთ.

ახალგაზრდობის დღე დედოფლისწყაროშიც ტრადიციად იქცევა

გვ. 6

შვეიცარია მცირე ფერმერებს განვითარებაში დაეხმარება

გვ. 4

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www.dedoplistskaro.ge

C M Y K

კათოლიკოს-პატრიარქმა მრევლს თხოვნით მიმართა, ლოცვა გააძლიერონ

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მრევლს თხოვნით მიმართა, გააძლიერონ ლოცვა, რათა საარჩევნო პერიოდმა მშვიდობით განვლოს.

როგორც უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დღევანდელ საკვირაო ქადაგებაში ბრძანა, საქართველოში ახლა რთული პერიოდია, რადგან ქვეყანა არჩევნებისთვის ემზადება.

"გთხოვთ გააძლიეროთ ლოცვა, რომ მშვიდობით განვლოს ამ პერიოდმა და ერმა აირჩიოს ის, ვინც სათნო არის წინაშე ღვთისა", - ბრძანა უწმინდესმა.

"ძველი რომაელები მუდმივად ამბობდნენ - "შეიცანი თავი შენი". აუცილებელია საკუთარ თავსა და გონებაში ჩაღრმავება. ადამიანი უნდა დაფიქრდეს, ვინ არის იგი, რისთვის მოვიდა, ვისი ნებით მივიდა და სად მიდის", - ბრძანა უწმინდესმა.

მარიამობის მარხვა დაიწყო

14 აგვისტოს მარიამობის მარხვა დაიწყო. მარიამობის მარხვა ორი კვირის განმავლობაში გაგრძელდება და 28 აგვისტოს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულზე დასრულდება.

აღნიშნული მარხვა მძიმეა მორწმუნეებისთვის. თევზით ხსნილი მხოლოდ ფერიცვალებას, 19 აგვისტოს არის.

თავისი მნიშვნელობით იგი საშობაო და პეტრე-პავლობის მარხვაზე აღმატებულია.

ბაგრატის ტაძრის გუმბათზე ნაკურთხი და დალოცვილი ჯვარი აღიმართა

ქუთაისში, ბაგრატის ტაძრის გუმბათზე 17 აგვისტოს ნაკურთხი და დალოცვილი ჯვარი აღიმართა. ჯვრის გუმბათზე აღმართვის ცერემონიალში, რესტავრატორებთან ერთად, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც მონაწილეობდა.

300 კილოგრამის, 2 მეტრისა და 14 სმ-ის ბრინჯაოს ჯვარი არქიტექტორ-რესტავრატორ ვანო გრემელაშვილის ნახაზით დამუშავდა და შეიქმნა. ჯვარი ქუთაისის ყველა ცენტრალური წერტილიდან შესამჩნევი გახდება.

ჯვრის აღმართვასთან დაკავშირებით, ქუთაისში 17 აგვისტო ერთჯერადად უქმედ გამოცხადდა.

საკადრო ცვლილებები მთავრობაში

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ფინანსთა ყოფილ მინისტრ დიმიტრი გვინდაძეს გაწეული სამუშაოებისთვის მადლობა გადაუხადა. პრემიერის განცხადებით, შემოსავლების და საქართველოს რეიტინგების ზრდის თვალსაზრისით მიღწეული წარმატებები სწორედ დიმიტრი გვინდაძეს უკავშირდება.

„სტაბილური ფინანსური სისტემის ჩამოყალიბების კუთხით მიღწეული წარმატებები დიმიტრის სახელს უკავშირდება - აღნიშნა მერაბიშვილმა.

საქართველოს მთავრობაში მორიგი საკადრო ცვლილება განხორციელდა. ვანო მერაბიშვილმა ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე ალექსანდრე ხეთაგური წარადგინა.

ენერგეტიკის მინისტრის პოსტს კი საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ვახტანგ ბალავაძე დაიკავებს.

მიხეილ სააკაშვილი:—„რაბათის ციხე ჩვენი აღმშენებლობის გვირგვინია"...

16 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტი ახალციხეში რაბათის ციხის გახსნის ცერემონიალს დაესწრო. მიხეილ სააკაშვილმა პრემიერ მინისტრთან ერთად, ფეხით შემოიარა განახლებული რაბათის ციხე-ქალაქი, აღდგენილი ობიექტები დაათვალიერა და აქ შეკრებილ მოსახლეობასაც გაესაუბრა. მიხეილ სააკაშვილმა მე-9 საუკუნით დათარიღებული ტაძარიც მოილოცა, რომელიც რესტავრატორებმა ნანგრევებიდან აღადგინეს და მართმადიდებელ მრევლს პირვანდელი სახით დაუბრუნეს.

ქვეყნის პირველმა პირმა ღონისძიებაზე შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა და ამ ადგილის მნიშვნელობაზე ესაუბრა. რაბათის ციხეს მან „აღმშენებლობის გვირგვინი" უწოდა და ყურადღება საქართველოში დასრულებულ და მიმდინარე სხვა მშენებლობებსა და სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გაამახვილა. როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, აღდგენილი ციხე ახალციხეში უამრავ ტურისტს მოიზიდავს, რაც, თავის მხრივ, მოსახლეობის პირობების გაუმჯობესების საწინდარი გახდება. მიხეილ სააკაშვილმა საზოგადოებას ახალი პროექტის შესახებაც ესაუბრა და განაცხადა, რომ რაბათის შემდეგ, გორის ციხის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყება.



პრეზიდენტის თქმით, ქვეყანაში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, რომელთაგან უპირველესი სიღარიბის დაძლევაა. მიხეილ სააკაშვილი ტურიზმის განვითარების საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ ეს ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. ქვეყნის პირველმა პირმა ახალგაზრდობის როლზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ სწორედ ამ ახალგაზრდებმა უნდა გააგრძელონ ქვეყნის აღმშენებლობის შემდგომი პროცესი.

რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, 7 ჰექტარზე გაშენებულ ისტორიულ ციხე-ქალაქს, რომელსაც ტოლერანტობის სიმბოლოსაც უწოდებენ, პირვანდელი იერსახე დაუბრუნდა. აღდგენილია ეროვნული მნიშვნელობის ძეგლები: ქრისტიანული ტაძარი, მეჩეთი, მინარეთი და სინაგოგა, ჯაყელების სასახლე, ისტორიული მუზეუმი, ძველი აბანოები და ციტადელი. ამას გარდა, რაბათის ციხის ტერიტორიაზე ამოქმედდა ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი და ქორწინების სახლი; აქვეა სიყვარულის ხეივანი, ამფითეატრი, საგამოფენო დარბაზები, სასტუმროები, კაფე-რესტორნები, მარანი, წყლის კასკადები და სხვა.

შირაქში „პიონერის" სათესლე ხორბლის ექსპერიმენტმა გაამართლა

კომპანია „კარტლისის" მიერ ამერიკული კომპანია „პიონერის" სათესლე ხორბლის ორი ახალი ჯიშის საცდელმა თესვამ საუკეთესო შედეგები აჩვენა. საადრეო და საგვიანო ჯიშის სათესლე ხორბლების „ანაპოსა" და RP22R58-ის მოსავალმა, რაიონისა და ჯიშის გათვალისწინებით, ჰექტარზე 3-5 ტონა შეადგინა. ამავე ჯიშის ხორბალი დედოფლისწყაროში, შირაქის ველებზეც დაითესა, რომელმაც საუკეთესო შედეგი აჩვენა.

კომპანია „კარტლისის" მენეჯმენტის ინფორმაციით, ფერემერების დაკვირვებით და მიღებული მოსავლის რაოდენობის მიხედვით, განსაკუთრებით კარგი შედეგი აჩვენა RP22R58-მა, რომელმაც წლეულს, არსებულ მძიმე კლიმატურ პირობებშიც კი მაღალი მოსავალი მოგვცა.

„პიონერის" RP22R58-მა საუკეთესო შედეგი აჩვენა და ფერმერები დაარწმუნა, რომ იგი მართლაც ძალიან კარგად უძლებს სტრესულ გარემოს, რომელიც კლიმატური პირობებითაა გამოწვეული. შედეგებმა სხვადასხვა რეგიონში, ჰექტარზე საშუალოდ 4-5 ტონა შეადგინა მაშინ, როცა სხვა ხორბლის ჯიშების მოსავალი ჰექტარზე 1.5-2 ტონას არ აჭარბებს. რაც შეეხება „ანაპოს", მისი მოსავალიც ძალიან კარგია და საშუალოდ ჰექტარზე 3-4 ტონას შეადენს," — აცხადებს კომპანია „კარტლისის" დირექტორი რობერტ რევია.

კომპანიის მენეჯმენტის ცნობით, თესვები საქართველოს ტრადიციული მეხორბლეობის ზონებში: შირაქში (დედოფლისწყარო), ალაზნის ველზე, ყვარელში, საგარეჯოში, გორში, დმანისსა და სართიჭალაში, სულ 150 ჰექტარ ტერიტორიაზე განხორციელდა.

„ეს იყო საცდელი თესვა, თუმცა ფართობი, რომელზეც ხორბალი დაითესა, საკმაოდ დიდია. ჩვენ გვსურდა, დაგვედგინა, თუ რამდენად მოსავლიანი იქნებოდა აღნიშნული ჯიშები საქართველოს პირობებში და როგორ მიესადაგებოდნენ ისინი ჩვენს კლიმატურ პირობებს. ექსპერიმენტულმა თესვამ კარგი შედეგები გვაჩვენა მძიმე კლიმატურ პირობებშიც კი, თუმცა ნორმალური კლიმატური პირობების დროს მოსავალი საშუალოდ 1-2 ტონით უფრო მაღალი იქნებოდა. სამწუხაროდ, დღემდე ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ მოძველებულ, უხარისხო და დაბალმოსავლიან ჯიშებს თესავენ, ვინაიდან ქვეყანაში მაღალმოსავლიანი სათესლე მასალის პრობლემაა," — აცხადებს რევია.

აღნიშნულ ხორბლის საცდელ ნაკვეთებს თვალყურს ადევნებდა აკადემიკოსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი პეტრე ნაყიდაშვილი, რომელმაც კომპანია „პიონერის" ხორბლის ჯიშს — RP22R58-ს უმაღლესი შეფასება მისცა.

კახეთში ფულად კომპენსაციას 18 000 ოჯახი მიიღებს

კახეთში სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისთვის ფულადი კომპენსაციების დარიგება დაიწყო. ფულად კომპენსაციას 18 000 ოჯახი მიიღებს. კომპენსაციების გაცემა „ლიბერთი ბანკის" ფილიალებში და „ლიბერთი ექსპრესის" მანქანების საშუალებით მიმდინარეობს.

„კომპენსაციების გაცემისთვის ვადები დადგენილი არ არის და მას ჩვენი საშუალებით ყველა დაზარალებული მიიღებს", — განუცხადეს კახეთის საინფორმაციო ცენტრს „ლიბერთი ბანკის" სათაო ოფისში.

შეგახსენებთ, რომ 19 ივლისს, კახეთში ძლიერი სტიქიის შედეგად ათასობით ოჯახი დაზარალდა. მთავრობამ დაზარალებულები სამ კატეგორიად დაყო. პირველი კატეგორია, ანუ ოჯახი, რომელსაც მოსავალი 100%—ით გაუნადგურდა, 1300—1500 ლარის ოდენობის კომპენსაციას მიიღებს. მეორე კატეგორიაში ის ოჯახები შედიან, რომელთაც მოსავალი 70—80%—ით გაუნადგურდათ. ისინი კომპენსაციის სახით 800—900 ლარს მიიღებენ. მესამე კატეგორიის დაზარალებულებს, მათ ვისაც სტიქიამ მოსავლის 50%—მდე გაუნადგურა, სახელმწიფო 300—500 ლარის კომპენსაციას გადასცემს.

ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციისთვის ახალი პროექტი განხორციელდება

ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციისთვის ფონდი „კასკი" ახალ პროექტს „გავუღიმოთ ბავშვებს"— იწყებს.

არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი მერაბ ხიდაშელი მიიჩნევს, რომ საქართველოში რეალურად არ არსებობს სახელმწიფოებრივი მიდგომა ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ქალბატონებისთვის და საჭიროა ამ ქალბატონების რეაბილიტაცია. ასევე ხიდაშელი მთავრობას მოუწოდებს, დაასაქმონ ასეთი ქალბატონები სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ პროექტში „მეტი სარგებელი ხალხს".

ამის შესახებ ორგანიზაციის ხელმძღვანელმა დღეს „პრაიმტაიმის" პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მერაბ ხიდაშელი პრესკონფერენციაზე ოჯახური ძალადობის ერთ— ერთ მსხვერპლთან, თეონა კეთილაძესთან ერთად იმყოფებოდა, რომელსაც ხიდაშელის თქმით, არასამთავრობო ორგანიზაციის ჩამოყალიბება სურს, სადაც მხოლოდ ის ქალები გაწევრიანდებიან, ვისაც საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი ოჯახური ძალადობა.

გრძელდება ქალაქის ინფრასტრუქტურული სამუშაოები



ქალაქ დედოფლისწყაროში, ადგილობრივი ხელმძღვანელობის ინიციატივითა და ძალისხმევით, გრძელდება ქალაქის კეთილმოწყობისა და ინფრასტრუქტურული სამუშაოები.მთლიანად ახალი ასფალტით იფარება აღმაშენებლის და 9 აპრილის ქუჩები. ამასთან,ამ ქუჩებზე მინის ნაშალისგან მთლიანად ამოიწმინდა სანიაღვრე არხები. ასევე,ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნით, გაითხარა და ასფალტის დაგებამდე საკანალიზაციო ქსელი ჩაიფინა სააკაძის ქუჩაზე, სადაც წლებია, მოსახლეობას აწუხებდა ეს პრობლემა. დედოფლისწყაროელები კმაყოფილებას გამოთქვამენ მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებით და მადლობას უხდიან ადგილობრივ ხელმძღვანელობას წლობით დაგროვილი პრობლემების მოგვარებისთვის.

ლალი მეხრიშვილი

ზაფხულში დედოფლისწყაროს სამი ბაღი მუშაობას განაგრძობს

თუ ქალაქ თბილისში ყველა საბავშვო ბაგა-ბაღმა ზაფხულის სეზონთან დაკავშირებით მუშაობა შეწყვიტა, დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე განთავსებული ბაგა-ბაღები ზაფხულის სეზონზეც განაგრძობენ მუშაობას. ეს გამონაკლისი რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ წელს პირველად დაიშვა ,,ქალაქ დედოფლისწყაროში მოქმედი სამი საბავშვო ბაღიდან წელს, ზაფხულის არდადეგებთან დაკავშირებით, არც ერთი მათგანი არ დაიკეტება და მთელი ზაფხულის განმავლობაში ჩვეული რიტმით განაგრძობს მუშაობას! უფრო მეტიც, შევეცდებით, რომ მომავალში სხავა საბავშვო ბაღებიც ზაფხულის სეზონზე არ დაიკეტოს!“ - ეს განცხადება სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის დირექტორმა მურად ოზაშვილმა საბავშვო ბაღების დირექტორებთან ერთ-ერთი შეხვედრისას გააკეთა. აღნიშნული ფაქტი, როგორც ბაღის მასწავლებლებისთვის, ასევე მშობლებისთვის სასიხარულო ცნობა აღმოჩნდა. მოგვეხსენება, ეკონომიური კრიზისისა და ზაფხულის სეზონზე ბავშვთა რაოდენობის სიმცირის გამო, წლების მანძილზე სოფლების და რაიონის ორი საბავშვო ბაღი ორი ან სამი თვით იკეტებოდა და მხოლოდ ერთი, - №2 საბავშვო ბაღი ფუნქციონირებდა. ეს გარემოება კი, ყველაზე ცუდად მშობლების სამუშაო რეჟიმზე აისახებოდა. განსაკუთრებით უჭირდათ იმ დედებს, რომლებიც საჯარო სამსახურებში მუშაობას ზაფხულშიც განაგრძობდნენ. ამიტომ, ზაფხულის სეზონზე დროებით დახურული საბავშვო ბაღების აღსაზრდელების მშობლებს დიდი გარჯა უწევდათ, რომ №2 საბავშვო ბაღში ეტარებინათ პატარები, სადაც

სწავლება კვლავ გრძელდებოდა, ან ბავშვებს სახლში ტოვებდნენ. წელს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ გამონახა ის სახსრები, რომ ქალაქ დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე განთავსებულ ბაგა-ბაღების მუშაობას მაინც არ ჰქონოდა შეფერხება და სამივე საბავშვო ბაგა-ბაღს სრული დატვირთვით ემუშავა. აღნიშნულ ინიციატივას რაიონის მოსახლეობა დადებითად შეხვდა. „უმუშევარი ვარ, მაგრამ ზაფხულის არდადეგებზე ბაღიდან დათხოვნა ძალიან არასასიამოვნო იყო ჩემთვის, რადგან ბავშვი რეჟიმიდან ვარდებოდა, სექტემბერში მისვლისას კი, შეგუება უჭირდა, ამასთან, როცა ბავშვი საბავშვო ბაღშია,ამ დროს უამრავ საქმეს ვაკეთებდი- სახლში კი, უამრავ დროს და ენერგიას მოითხოვს ჩემგან, საბავშვო ბაღში ბავშვები ათას რამეს სწავლობენ,თამაშობენ და, თქვენ წარმოიდგინეთ, ყველაზე კარგად მიირთმევენ ცხელ კერძებს, ვიდრე სახლში, ამასთან იმედიანად ვარ, რომ არანაირ საფრთხეს არ გადაეყრება.ასე რომ, დიდი სიხარულით შევხვდი ამ ამბავს და მადლობას ვუხდი ყველა მათგანს, ვისაც ეს ინიციატივა ეკუთვნის.“ - აცხადებს ნატო ნატროშვილი.

როგორც მურად ოზაშვილისგან შევიტყვეთ, ის იმედს გამოთქვამს, რომ რაიონის ბაღები ამიერიდან არც ერთ ზაფხულს არ დაისვენებენ, უფრო მეტიც, არ გამორიცხავს, რომ იმ სოფლების ბაგა-ბაღებიც ამუშავდება ზაფხულობით, სადაც ბავშვთა მაღალი კონტიგენტი დაფიქსირდება.

ლალი მეხრიშვილი

კახეთში რთველი 20 აგვისტოდან დაიწყება

კახეთში, ალაზნისპირა სოფლებში საბათლოში, სამთაწყაროსა და ფიროსმანში რთველის დაწყებას 20 აგვისტოდან ვარაუდობენ. როგორც გლეხებმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს აცნობეს, ყურძენი უკვე მწიფეა და შაქრიანობას უახლოეს დღეებში გაზომავენ.

„წელს ამინდმა ხელი შეგვიწყო და კარგი ყურძენი მოვიდა, საშუალოდ ჰექტარზე 5 ტონა მოსავალს ველოდებით“, — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს სოფელ სამთაწყაროს ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა პაატა ნადირაშვილმა.

„ყურძენი მწიფობაშია შესული. სავარაუდოდ 20 აგვისტოდან რთველი უკვე დაიწყება“, — აღნიშნა სოფელ ფიროსმანის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა დავით გუნდაძემ.

ჯერ არ არის ცნობილი, რამდენი ათასი ტონა ყურძნის მოსავალია კახეთში მოსალოდნელი. მუნიციპალიტეტების გამგეობები მონაცემებს ითვლიან. როგორც ცნობილია, 19 ივლისს მოსულმა ძლიერმა სეტყვამ თელავის, გურჯაანის, ყვარლის და ლაგოდეხის რაიონის ზოგიერთ სოფელში მოსავალი მთლიანად ან ნაწილობრივ გაანადგურა.

ღვინის ქარხნებში ჯერ ვერ აკონკრეტებენ ყურძენს რა ფასად ჩაიბარებენ.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა უკვე რამდენჯერმე განაცხადა, რომ წელს კახეთში სანიმუშო რთველი უნდა იყოს. .

2011 წელს, კახეთში ყურძნის მოსავალმა 113 506 ტონა შეადგინა. აქედან 82 179 ტონა რქაწითელი, 26 236,5 ტონა საფერავი, 5 090,5 ტონა კი სხვადასხვა ჯიშის ყურძენი იყო, მათ შორის ჰიბრიდული. რთველის სუბსიდირებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 10 მილიონი ლარი გამოიყო. ქარხნებმა რქაწითელის ჯიშის ყურძენი 45-50 თეთრად, საფერავი კი 60-65 თეთრად ჩაიბარეს. აქედან რქაწითელზე სუბსიდია 15 თეთრი, საფერავზე კი 25 თეთრი იყო.

საქართველოს პრემიერ-მინისტრიც შეუერთდა პრეზიდენტის განცხადებას და აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა რთველისთვის განსაკუთრებიტ ემზადება- წელს კახეთში გამორჩეული რთველი იქნება და ყველა მევენახე კმაყოფილი დარჩება-განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

შვეიცარია მცირე ფერმერებს განვითარებაში დაეხმარება

10 აგვისტოს, დედოფლისწყაროს ფერმერთა მომსახურების ცენტრში (რუსთაველის ქ№24) შეხვედრა გაიმართა. პროექტი „საბაზრო შესაძლებლობები საარსებო პირობების გასაუმჯობესებლად — „MOLI კახეთში“ ორიენტირებულია მესაქონლეობის განვითარებაზე კახეთის რეგიონში დაინტერესებულ მხარეებს პროექტის დეტალებს აცნობს.

შეხვედრაზე მიმდინარე პროექტის ირგვლივ ისაუბრეს. დამსწრე აუდიტორიას მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია პროექტის სამოქმედო გეგმებისა და მათთან თანამშრომლობის პერსპექტივების შესახებ.

დედოფლისწყაროში პროექტის კანადელი ხელმძღვანელი ენდრიუ ვოლსონიც იმყოფებოდა. პრეზენტაციას დაინტერესებული ფერმერები დედოფლისწყაროს ყველა სოფლიდან დაესწრნენ.

როგორც პროექტის პრეზენტაციისას გაირკვა, პროექტი 4 წლიანია.

ენდრიუ ვოლსონი ***(პროექტის ხელმძღვანელი):*** „მესაქონლეობასთან დაკავშირებული პირებისთვის პროექტი „მოლი - კახეთში“ გასული წლის ნოემბერში დაიწყო, ამ დრომდე მოსამზადებელი პერიოდი მიმდინარეობდა. ახლა კი, მიმდინარე წლის ივლისიდან ძირითადი ფაზა დაიწყო, რომელიც 40 თვეს გასტანს. ის შვეიცარიული არასამთავრობო ორგანიზაცია HEKS EPER-ს მიერ კახეთის სამ რაიონში დედოფლისწყაროში, სიღნაღსა და საგარეჯოში განხორციელდება. პროექტის განხორციელების დროს შვეიცარიულ მხარეს პარტნიორობას გაუწევს საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია. პროექტის დაფინანსება 100%-ით უზრუნველყოფილია შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ. „აამოქმედე ბაზარი ღარიბებისთვის“ მიზნად ისახავს მცირე და საშუალო ფერმერების ხელშეწყობას. ანუ, დავეხმარებით მათ, ვისაც 100 სულზე ნაკლები საქონელი ჰყავს. თუმცა, მათ ვეხნარებით არა პირდაპირ, არამედ - ირიბად. არა პირდაპირ, თუმცა ცალკეულ პროგრამებს გავატარებთ: საძოვარ ტრასებზე, ბუნებრივი რისკების შემცირებასთან დაკავშირებით

და ა.შ. ისეთი სამუშაოების გატარებას ვგეგმავთ, რა დროსაც ადგილობრივ თვითმმართველობებთან მუშაობაც მოგვიწევს. ანუ, ფერმერს ერთჯერადად ყველაფერს არ დავუფინანსებთ. დახმარება ეტაპობრივად მოხდება. შემდეგ მონიტორინგს ჩავატარებთ და თუ შედეგები წარმატებული იქნება, მაშინ თანამშრომლობა გაგრძელდება.

ჩვენ კახეთის სამ რაიონში 1 200 საოჯახო მეურნეობის წარმომადგენელი გამოვკითხეთ და მათი პრობლემები შევისწავლეთ. ვფიქრობთ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების ჩართვის გარეშე ვერ ვიმუშავებთ. მოგეხსენებათ, რომ მთავრობა გავლენას ახდენს ბიზნეს გარემოზე და გარკვეულ საკითხების გადაწყვეტაში ერთადერთი საშუალებაა.

მე ფერმაში გავიზარდე, რომელიც ქალაქგარეთ მდებარეობდა. სამწუხაროდ, ფერმა მივატოვე, სასწავლებლად წავედი და იქ აღარ დავბრუნებულვარ. თუმცა, დღეს ამ სფეროში აქტიურად ვარ ჩართული. ისევ ამ სფეროს და მის განვითარებას ვემსახურები. უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რა შეგვიძლია გავაკეთოთ ერთმანეთისთვის და ფერმერთა კეთილდღეობისთვის. გვინდა, რომ გამდიდრდეთ და ფერმერთა შემოსავლებმა იმატოს. ამისათვის კი აუცილებელია შევიმუშაოთ კონკრეტული სამოქმედო გეგმა. მინდა გითხრათ, რომ ამ გეგმის პარალელურად ტრენინგები ჩატარდება. მსურველ ფერმერებზეა დამოკიდებული, როგორ და რა სახით ითანამშრომლებენ ამ პროექტთან. შემდგომში ჩვენი მონაწილეობა იქნება მიმდინარე სამუშაოს მონიტორინგი. თუ დავინახავთ, რომ სისტემა გამართულად ამუშავდა და საქმე აეწყო ამ შემთხვევაში უკვე ინვესტირებას დავიწყებთ. შესაძლებელია, მომავალში რაიონულ დონეზე შედგეს შეხვედრები, ჩვენს, ფერმერებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის.“

დეტალების გაცნობის შემდეგ ყველა ფერმერმა ორგანიზაციის სპეციალური ანკეტა შეავსო, სადაც მათი სამუშაო პირობები, საჭირო და აუცილებელი პროცედურები და საკონტაქტო ინფორმაცია დაფიქსირდა.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ გაზეთი „შირაქი“ მხარეებს გაესაუბრა. პროექტის ხელმძღვანელის მოადგილე ალექსანდრე ღოღობერიძე ფერმერების დაინტერესებით კმაყოფილია.

„ფერმერების მხრიდან საკმაოდ მაღალი ინტერესი წამოვიდა. დედოფლისწყარომდე მსგავსი შეხვედრა სიღნაღის რაიონის ქალაქ წნორში ჩავატარეთ. მინდა ვთქვა, რომ საკმაოდ ბევრი ფერმერი დაინტერესდა. დედოფლისწყაროში 25 ბიზნეს-წარმომადგენელი გვეწვია. ჩვენ ვთვლით, რომ ეს არ არის სრული მაჩვენებელი და დედოფლისწყაროდან კიდევ გამოგვეხმაურებიან. ამ კუთხით მუშაობას გავაგრძელებთ, თუმცა არ გვინდა თანამშრომლობა იყოს იძულებითი. ამის სურვილი და მყარი მოტივაცია უნდა ჰქონდეს პირველ რიგში,“ - აღნიშნავს ალექსანდრე ღოღობერიძე

შეხვედრის დასრულების შემდეგ შეფასებები გააკეთეს და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს ადგილობრივმა ფერმერებმა. ფერმერი ნიკო ბენიაიძე და სხვები პროექტში ჩართვას გეგმავენ.

„მოგეხსენებათ, დედოფლისწყარო მესაქონლეობის რაიონია და რა თქმა უნდა წარმოდგენილი პროექტი ყველასთვის საინტერესო იქნება. ცნობილია, რომ 180 000 ჰექტარია, საიდანაც ათვისებული ძალიან ცოტაა. ვნახოთ, ალბათ სიკეთეს მოუტანს ჩვენს რაიონს. ცალკეულად ფერმერებს ვერ დაეხმარებიან, მაგრამ თუ ერთობლივად მოხდება მუშაობა, შედეგიც დადებითი დადგება. ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი ხალხზეა გათვლილი,“ - განუცხადა გაზეთ „შირაქს“ ნიკო ბენიაიძემ.

პროექტს დადებითად აფასებს საქართველოს მეცხვარეთა ასოციაციის ხელმძღვანელი ბექა გონაშვილიც.

ილია მარტყოფლიშვილი

დასაქმებულ სტუდენტთა რიცხვი 70-მდე გაიზარდა

სტუდენტთა დასაქმების პროგრამა საზაფხულო არდადეგებზე „Summer Job“-ის ფარგლებში წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 70-მდე ახალგაზრდა დასაქმდა. როგორც „შირაქმა“ გაარკვია, ისინი ძირითადად მოქალაქეთა გამოკითხვის პროცესში ჩაერთვნენ.

საცხოვრებელი პირობების კვლევის პროცესში თავდაპირველად 30 დედოფლისწყაროელი სტუდენტი დასაქმდა, თუმცა, როგორც თავად სტუდენტებმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადეს მათ კიდევ 40 სტუდენტი დაემატათ.

გამგეობის შენობაში მათთვის გამოყოფილ სამუშაო კაბინეტში მისულებს სამუშაო ვითარება დაგვხვდა. სტუდენტთა დასაქმების პროგრამის მონაწილეთა კურირებას დედოფლისწყაროს გამგებლის მოადგილე ემზარ ჯანაშვილი ახდენს. ჯანაშვილი „შირაქთან“ საუბარში ადასტურებს, რომ ჯგუფს 40-მდე ახალგაზრდა დაემატა. ისინი გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მთავარი სპეციალისტის მერი საბიაშვილის კაბინეტში იმუშავებენ.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, დასაქმების პროგრამა ერთ თვეს გაგრძელდება და სტუდენტები ანაზღაურების სახით 500 ლარს მიიღებენ.

პროექტში „Summer Job“ მონაწილეობის მსურველთა დამატებითი რეგისტრაცია 4 ივნისს დილის 9 საათზე დაიწყო და 20 წუთში დასრულდა. სტუდენტებისთვის ვაკანტური 1 500-ზე მეტი ადგილი იყო შეთავაზებული. დროის ასეთ მცირე მონაკვეთში ადგილების შევსება იმაზე მეტყველებს, რომ პროექტი მოთხოვნადია და სტუდენტების დიდ დაინტერესებას იწვევს, – აცხადებენ განათლების სამინისტროში.

პროგრამაზე - „Summer Job“სტუდენტთა რეგისტრაციის პირველი ეტაპი 20 მარტიდან დაიწყო და ინტერნეტით, დასწრების პრინციპით, განხორციელდა. ის დარეგისტრირებული სტუდენტები, რომლებიც დროულად არ გამოცხადდნენ დამსაქმებლებთან შრომითი ხელშეკრულების გასაფორმებლად, ავტომატურად პროექტს გამოეთიშნენ. ასეთი სტუდენტების რიცხვი 7%-ზე ნაკლებია.

გამოთავისუფლებულ სამუშაო ადგილებზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 4 ივნისს დამატებითი რეგისტრაცია გამოაცხადა.

დამატებით რეგისტრაციამდე სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ წინასწარ შეერჩიათ დარჩენილი ვაკანსიებიდან სასურველი სამუშაო ადგილი. ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მოძიება მათ პროექტის ვებგვერდზე შეეძლოთ.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებული პროექტი „Summer Job“ საქართველოში წელს პირველად ხორციელდება. პროექტი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ზაფხულის არდადეგების პერიოდში 20 ივლისს ამოქმედდება და 20 აგვისტომდე გასტანს. მასში მონაწილეობა საქართველოში ავტორიზებული უნივერსიტეტების ბაკალავრიატის სტუდენტებს შეუძლიათ. პროექტის ფარგლებში ოცდახუთი ათასი სტუდენტი დასაქმდება და მათი ხელფასი 500 ლარი იქნება.

სტუდენტები სამოცდაათამდე სფეროში დასაქმდებიან, კერძოდ: სახელმწიფო დაწესებულებებში, ბიზნეს და არასამთავრობო სექტორებში, იურიდიულ კომპანიებში, მუზეუმებში, საავადმყოფოებში, თვითმმართველობის ორგანოებში და ა.შ. საპრეზიდენტო პროექტში სახელმწიფო უწყებები და კერძო სექტორია ჩართული.

პროექტის „Summer Job“ მიზანია, სტუდენტებმა კვალიფიკაციის ამაღლება და გამოცდილების მიღება შეძლონ. გამომუშავებული თანხით კი საკუთარი სწავლა დააფინანსონ ან შემეცნების, მოგზაურობის, დასვენებისათვის და ა.შ. საკუთარი სურვილისამებრ გამოიყენონ. ამგვარი პრაქტიკა დანერგილია და წარმატებით ხორციელდება დასავლეთის ქვეყნებში.

ილია მარტყოფლიშვილი

დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს...

დიდგორი საქართველოს სიამაყის და გამარჯვების სიმბოლოა. ქართველი ერი 12 აგვისტოს ყოველთვის იკრიბება დიდგორის ველზე და პატივს მიაგებს იმ გმირებს, რომელთაც თავიანთი თავგანწირვით საქართველოს გამარჯვება და ისტორიული „ოქროს ხანა“ მოუტანეს.

საქართველოს პრეზიდენტი 12 აგვისტოს დიდგორის ველზე იმყოფებოდა, სადაც დილიდან საზეიმო ღონისძიებები მიმდინარეობდა. მიხეილ სააკაშვილმა დიდგორობის დღესასწაულზე შეკრებილ მოსახლეობას მიმართა და იმ 5 მთავარ პრინციპზე გაამახვილა ყურადღება, რომელიც მისივე თქმით, საქართველოსთვის აქტუალური იყო დავით აღმაშენებლის დროსაც და, როგორც არასდროს, აქტუალურია დღესაც - ერთიანობა, თავისუფლების მოყვარეობა და შეუპოვრობა, აღმშენებლობა, რეფორმები და გამარჯვება, რომელიც ნებისმიერ ფასად უნდა მოიპოვოს ქვეყანამ.

“ჩვენი დიდგორი ჯერ კიდევ წინ არის! ჩვენ აუცილებლად მივიყვანთ საქმეს ბოლომდე, აუცილებლად გავიმარჯვებთ, აუცილებლად გავაერთიანებთ საქართველოს და აუცილებლად გვექნება ბედნიერი მომავალი!” - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

ისტორიული ექსკურსი

დიდგორის ბრძოლა ან ძლევაᲐ საკვირველი (1121 წლის 12 აგვისტო), ქართველთა ბრძოლა დავით IV აღმაშენებლის მეთაურობით თურქ-სელჩუკთა კოალიციური ლაშქრის წინააღმდეგ დიდგორის ველზე (მანგლისის მახლობლად, თბილისის მისადგომებთან).

XI-XII საუკუნეების მიჯნაზე ქართველთა წმინდა მეფის დავით აღმაშენებლის მიერ გატარებულმა გაბედულმა პოლიტიკამ თანდათან თურქსელჩუკებისაგან გამოიხსნა დარბეული, გაპარტახებული ქვეყანა: 1092 წელს დავით IV-მ ხარკი შეუწყვიტა სულთანს, შემდეგ შეუდგა ქართული მიწა-წყლის სრული გაერთიანებისათვის ბრძოლას, აიღო ზედაზენი, შემოიერთა კახეთ-ჰერეთი, სამშვილდე, გიში, რუსთავი, ლორე. დამპყრობელთა ხელში თბილისი და დმანისი რჩებოდა.

ჩრდილოეთში, საქართველოს სახით, ახალი სამხედრო და პოლიტიკური ძალის აღზევება, მაშინ როდესაც დასავლეთით ახლად შექმნილ ჯვაროსნულ სახელმწიფოებთან განუწყვეტელი ომი მიმდინარეობდა, მეტად სახიფათო იყო თურქ-სელჩუკებისათვის. საინტერესოა, რომ ამ დროს მცირე აზიაში ძალთა მყიფე თანაფარდობა სუფევდა, რადგან არც მუსლიმანებს, არც ჯვაროსნებს შორის ერთობა, ერთიანი ხელმძღვანელობა არ არსებობდა. მაგრამ, როდესაც სხვადასხვა სელჩუკ და არაბებს სახელმწიფოებს შორის გაერთიანება შედგა, მისი პირველი დარტყმა საქართველოს წინააღმდეგ მიიმართა. როგორც ჩანს სულთან მაჰმუდ II-სა და მის მოკავშირეებს სურდათ სწრაფი იერიშით დაემარცხებინათ, გაენადგურებინათ დავით IV, რათა ჩრდილოეთიდან დაცულებს შეერთებული ძალები ჯვაროსნების წინააღმდეგ მიემართათ.

ბრძოლა

სელჩუკებს ართუკიდი ნაჯმ ად-დინ ილღაზი სარდლობდა, რომელსაც დიდი სახელი ჰქონდა მოპოვებული ჯვაროსნებთან ბრძოლებში.

მაჰმადიანთა ლაშქრის რაოდენობა სხვადასხვა ცნობების მიხედვით მერყეობს 250-300 ათასიდან (სომხური და თურქული წყაროების თანახმად) 500-600 ათასამდე (არაბული, სპარსული ქართული და ევროპული წყაროების თანახმად).

მოკავშირეთა დარტყმა სწრაფი, გადამწყვეტი, თავზარდამცემი უნდა ყოფილიყო. სწორედ ამიტომ შეკრიბეს საუკეთესო ცხენოსანი მეომრები ეგვიპტედან კავკასიამდე. თურქული კავალერია იმ დროის განთქმული სამხედრო ძალა იყო.

დავით IV-ის განკარგულებაში 56 ათასი მეომარი იყო. ამათგან 40 ათასი ქართველი, 15 ათასი ყივჩაყი, 500 ოსი და 100 ”ფრანგია” (ევროპელი).

როგორც ჩანს ბრძოლა ქართველთა მიერ დაგეგმილ ადგილას მოხდა, ვინაიდან სამეფო ლაშქრის პოზიციები წინასწარ იყო გამაგრებული. ლაშქრის ძირითად ნაწილს, რომელსაც პირველი ბრძოლა უნდა მიეღო, დავითი სარდლობდა, დანარჩენი ნაწილი დავითის ვაჟის დემეტრეს სარდლობით მთას იყო ამოფარებული და იქიდან მოულოდნელად უნდა დაერტყა მტრისთვის. ბრძოლის დაწყების წინ ქართველთა მხრიდან 200 მხედარი მტრის ბანაკისაკენ გაემართა; მაჰმადიანებს ისინი მოღალატენი ეგონათ და თავის ბანაკში შეუშვეს, სადაც მათ მოულოდნელი იერიში მიიტანეს მტერზე. კოალიციური ლაშქრის საბრძოლო წყობა დაირღვა.

ამ დროს ქართველთა ლაშქარმა მტერს ორი მხრიდან შეუტია - დასავლეთიდან დავითი, ხოლო დიდგორის მთიდან დემეტრე გადავიდა შეტევაზე. ქართველი რაინდები და მათი თანამებრძოლები წინა აზიის საუკეთესო მხედრობას შეებნენ.

უაღრესად სისხლისმღვრელი შეტაკება მხოლოდ სამ საათს გაგრძელდა. ილღაზის ლაშქარი სასტიკად დამარცხდა და უკუიქცა. ამით ბრძოლა არ დასრულებულა. დამარცხებულებს თბილისისა თუ დმანისისათვის თავის შეფარებისა და ძალების აღდგენის საშუალება არ მისცეს. დევნა 8 დღეს გაგრძელდა...

საქართველოში ლაშქრობამ მაჰმადიანთა მხედრობის 90% შეიწირა. დაჭრილმა ილღაზიმ, რამდენიმე სარდალსა და ოციოდე მხედართან ერთად, გაქცევა მოახერხა.

დიდგორის ბრძოლას უდიდესი პოლიტიკური და სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა: ერთის მხრივ მაჰმადიანთა მძლავრი კოალიცია დაირღვა, მისი ლაშქარი კი პირწმინდად განადგურდა. მეორეს მხრივ გაოცებულ თანამედროვეებს საქართველო წარუდგა, როგორც რეგიონის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო.

ამ გამარჯვებამ შესაძლებელი გახადა ქვეყნის საბოლოო გათავისუფლება (1122 წელს თბილისი, 1123 წელს კი დმანისი სამეფოს შეუერთდნენ) და დასაბამი მისცა ოქროს ხანას საქართველოს ისტორიაში.

ნიშანდობლივია, რომ კიდევ ასი წლის განმავლობაში საქართველო არც ერთ მნიშვნელოვან ბრძოლას არ წააგებს.

აფხაზეთის ომის დაწყებიდან 20 წელი გავიდა

აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებიდან დღეს 20 წელი შესრულდა. სამხედრო დაპირისპირება აფხაზეთში 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო და 13 თვის განმავლობაში გრძელდებოდა.

სეპარატისტთა მხარეს იბრძოდნენ ადგილობრივი სომხები, დაქირავებული მებრძოლები ჩრდილოეთ კავკასიიდან, კაზაკთა შეიარაღებული მილიციის მეომრები, რომელთაც არაოფიციალურად მხარს უჭერდა რუსეთის სამხედრო ბაზის გარნიზონი გუდაუთაში.

სოჭი-ინგირის სარკინიგზო მონაკვეთის დასაცავად აფხაზეთის ტერიტორიაზე შესულ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნულ გვარდიას აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, ვლადისლავ არძინბას განკარგულებით შექმნილმა “აფხაზურმა გვარდიამ”, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოხურეისთან და სოხუმში ცეცხლი გაუხსნა, რასაც აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყება მოჰყვა.

სამხედრო მოქმედებები 1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემით და საქართველოს შეიარაღებული ძალების დამარცხებით დასრულდა.

აფხაზურ-რუსულმა შენაერთებმა მდინარე ენგურის გასწვრივ პოზიციები 1993 წლის 30 სექტემბერს დაიკავეს. აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ხელისუფლება “საქართველოზე გამარჯვებისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის დღეს“ ყოველი წლის 30 სექტემბერს აღნიშნავს. კონფლიქტის შედეგად დაიღუპა ათასობით ქართველი, ხოლო 250 ათასზე მეტი ადამიანი აფხაზეთიდან ლტოლვილი გახდა. კონფლიქტის განმავლობაში დაიღუპა დაახლოებით 3 ათასი აფხაზი, 20 ათასი აფხაზი კი ლტოლვილად იქცა.

ახალგაზრდობის დღე დედოფლისწყაროშიც ტრადიციად იქცევა

გაეროს მიერ შემოღებული ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე 12 აგვისტოს საქართველოშიც აღნიშნეს. გაეროს ინიციატივით მსოფლიო 1999 წლიდან ყოველ 12 აგვისტოს აღნიშნავს ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს. მართალია, აგვისტოში ყველა უნივერსიტეტში, სკოლაში საზაფხულო არდადეგებია, მაგრამ თითქმის ყველა ქვეყანაში მოქმედებს საზაფხულო ახალგაზრდული ბანაკები, სადაც, როგორც გაეროს ერთ-ერთ რეზოლუციაშია აღნიშნული, "ახალგაზრდებს ეძლევათ დასვენების და შემოქმედების საშუალება". სიტყვა "შემოქმედება" ყოველთვის აქტუალურია: 1999 წლიდან, როცა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე დაწესდა, დღემდე დღესასწაულის ორგანიზატორები იგონებენ განსხვავებულ თემებს, რომელსაც ეს დღე ეძღვნება. გაგახსენებთ, რომ მსოფლიოში დღეს სამი მილიარდი ადამიანი ცხოვრობს, რომელთა ასაკი 25 წელზე ნაკლებია, და აქედან ნახევარ მილიარდზე მეტი სილარიბის ზღვარს ქვევით ცხოვრობს - არა აქვს სამუშაო და არა აქვს სწავლის საშუალება. 12 აგვისტოს მსოფლიოს ამ ახალგაზრდების პრობლემებს ახსენებენ. გარდა ამისა, ამ დღეს ახალგაზრდები ირჩევენ თემებს, რომლებიც მათ საშუალებას აძლევს გამოხატონ თავიანთი პოზიცია კულტურული კლიშეების მიმართ, იმ სტერეოტიპების მიმართ, რომლებიც საზოგადოების განვითარებას უშლის ხელს და ზღუდავს, პირველ რიგში, ახალგაზრდობას.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით 12 აგვისტოს დედოფლისწყაროში მცხოვრები ახალგაზრდები განსაკუთრებულად ემზადებოდნენ. მოზარდები კულტურის სახლში შეიკრიბნენ და ერთობლივი ძალებით კონცერტი გამართეს. ღონისძიება საღამოს 18:00 საათზე დაიწყო.

როგორც გაირკვა, ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ადგილობრივმა ახალგაზრდობამ საკუთარი დღე დედოფლისწყაროში ოფიციალურად აღნიშნა და ღონისძიებაც მიუძღვნა.

როგორც ორგანიზატორებმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადეს, ამ დღის აღნიშვნისა და მისი ტრადიციად ქცევის იდეა მას შემდეგ გაჩნდა, რაც რამდენიმე დღის წინ 30-მდე დედოფლისწყაროელმა ახალგაზრდამ ყვარელში ტრენინგი გაიარა და სხვადასხვა სახის აქტივობების დაგეგმვის პროცესი შეისწავლა. ტრენინგიდან დაბრუნებულებმა კი გადაწყვიტეს, ორიოდ დღეში დანიშნულ ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს თავადაც გამოხმაურებოდნენ და წელიწადში ერთხელ საკუთარი თავისთვის დღესასწაული მოიწყოთ. იდეა ყველამ აიტაცა, ნიჭიერი და აქტიური თანატოლები შემოიკრიბეს და უფროსების დახმარების გარეშე საკონცერტო პროგრამაც შეადგინეს.

საღამოზე მონაწილეობას ქალაქ დედოფლისწყაროს და რამდენიმე სოფელში მცხოვრები აქტიური ახალგაზრდებიც იღებდნენ. თავად უკრავდნენ, თავადვე მღეროდნენ და კულტურის სახლის დარბაზში მსხდომი მაყურებლის გამხიარულებასა და გააქტიურებასაც სახალისო კითხვებით თავადვე ცდილობდნენ. ვფიქრობ, მშვენივრად მოახერხეს კიდეც.

სცენაზე პირველად გამოსვლის საშუალება მიეცათ დედოფლისწყაროელ, ახალგაზრდა პარკურის მიმდევრებს. ისინი მოსახლეობამ თავდაპირველად გაზეთ „შირაქის“ ფურცლებიდან გასული წლის 7 ოქტომბრის ნომერში დეტალურად გაიცნო. ვრცელი სტატია შირაქმა გასული წლის დაბეჭდა. ჯგუფს უკვე სახელწოდებაც აქვს - „G.p klan“, რაც ასე იშიფრება Georgian parkour klan. მათმა სასცენო ნომერმა მაყურებლის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა, რასაც ყიჟინითა და აპლოდისმენტებით გამოხატავდნენ. სხვათაშორის, უნდა ითქვას, რომ პარკურისტები საქართველოს რეგიონებში ძალზე იშვიათად გვხვდებიან, ამ მხრივ დედოფლისწყარო სასიამოვნო გამონაკლისია, სადაც სპორტის ამ სახეობას საკმაოდ ბევრი მოზარდი მისდევს. როგორც მათი თანაგუნდელი **ნიკა იაკობიშვილი** „შირაქთან“ საუბარში ამბობს, მისი რეჟისორობით უახლოეს მომავალში ახალი ვიდეო-კლიპის გადაღებას გეგმავენ.

სცენაზე დაუკრეს თაზო ლაპიაშვილმა, გიორგი აგლაძემ და სხვებმა.

„მთელი დედოფლისწყაროდან აქტიურმა ახალგაზრდებმა გადავწყვიტეთ ამ დღესთან დაკავშირებით ჩვენი რაიონის ახალგაზრდებისთვის საინტერესო დღე გვეჩუქებინა და ღონისძიება ჩაგვეტარებინა. ამ იდეის განხორციელებაში დედოფლისწყაროს გამგეობაც დაგვეხმარა და მონაწილე ბავშვების ტრანსპორტირებაში გვერდით დაგვიდგა. იმის გამო, რომ ზაფხულის სეზონის გამო ანსამბლები სრული შემადგენლობით რაიონში ამ დროისთვის არ იმყოფებიან და ერთობლივი ნომრები ვერ შესრულდებოდა, სურვილი გაგვიჩნდა, ცოტა განსხვავებული პროგრამა შეგვედგინა. მოვამზადეთ შედარებით უცხო ნომრები. მაგალითად ელექტრო გიტარაზე დაკვრა, თანამედროვე ცეკვა, ასევე ქართული ცეკვები და სიმღერები... გარდა ამისა, მსურველებს ასევე შეეძლოთ ლექსის წაკითხვა პოეზიის საღამოზე. ჩვენთან იყვნენ ზემო მაჩხაანის, ქვემო ქედისა და სხვა სოფლების ნიჭიერი ახალგაზრდებიც. მსგავსი ღონისძიებების გამართვას მომავალშიც აქტიურად ვგეგმავთ,“ — განუცხადა „შირაქს“ საღამოს ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ნინო სეფიაშვილმა.

ადგილობრივები აცხადებენ, რომ დედოფლისწყაროში ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღნიშვნა წელს პირველად ხდება. თინეიჯერების უმრავლესობამ ამ დღის არსებობის შესახებ პირველად შეიტყო.

საღამოს დასრულების შემდეგ კმაყოფილებას გამოხატავდნენ როგორც ახალგაზრდები, ისე ზრდასრულები, მათი მშობლები და პედაგოგები.

„ძალიან დიდი ენთუზიაზმით ემზადებოდნენ ამ დღისათვის და გულწრფელად გითხრათ გაოცებული და უზომოდ კმაყოფილი დავრჩი. საოცრად ლამაზი საღამო ჩატარდა და კარგი იქნება, თუ ასეთ ღონისძიებებს ხშირად გამართავენ. მისასალმებელია, თუ ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღნიშვნა დედოფლისწყაროშიც ტრადიციად იქცევა,“ - განუცხადა „შირაქს“ ნინო ფხაკაძე-ლოლაშვილმა.

კონცერტი ულამაზესი ფეიერვერკით დასრულდა, ახალგაზრდები არ მალავდნენ, რომ საღამოს კვლავ ერთად შეკრებას და ამ დღის უკვე სუფრაზე აღნიშვნასაც გეგმავდნენ.

ილია მარტყოფლიშვილი

ლეღვის ფოთლების ნახარში + მზეზე წოლა = დამწვრობას და არა ნარუჯს

ზაფხულის სეზონთან ერთად მსუბუქად ჩაცმული ადამიანების რიცხვმაც იმატა. რაც შეეხება სეზონის აქტუალურ თემას, ეს მუქი ფერის კანი და გარუჯვაა. გარუჯვის სურვილით შეპყრობილთა სია კი ძალიან დიდია და ადამიანები კანის მუქი ფერის მისაღწევად, სხვადასხვა გზებს მიმართავენ, იქნება ეს ტრადიციული თუ არატრადიციული.

რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ 15 წლის გოგონამ ლეღვის ფოთლების ნახარში ტანზე წაისვა და მზეზე, გასარუჯად დაწვა. შედეგი კი სავალალო აღმოჩნდა, გოგონამ სხეულის დამწვრობა მიიღო, რის გამოც დამწვრობის ცენტრში მკურნალობა დასჭირდა. ანალოგიური გზით გარუჯვა 19 წლის გოგონამაც სცადა, რომელიც სხეულის დამწვრობით, საავადმყოფოში მიიყვანეს.

„ასეთი მეთოდების გამოყენება კატეგორიულად აკრძალულია. არ შეიძლება, რადგან დამწვრობასთან ერთად რიგი დაავადებების გამოწვევა შეუძლია. აუცილებელია მზისგან დამცავი საცხების მოხმარება, რათა შემდგომი გართულებები იქნეს თავიდან აცილებული. ასეთი მეთოდები კი უფრო მეტად აჩქარებს პროცესს და შედეგად კანის სერიოზულ დამწვრობას ვიღებთ. გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანმა კანის ფერის, თვალისა და თმის ფერის შესაბამისად უნდა მოიხმაროს დამცავი საშუალებები, არატრადიციული გზებით გარუჯვის დაჩქარება დაუშვებელია. ამასთანავე, ასეთი საშუალებები იწვევს კანზე ლაქების მასიურ გაჩენას. არ შეიძლება ჭარბხალიანობის შემთხვევაში მზის გულზე დიდი ხნით გაჩერება, მით უმეტეს ისეთი საშულებებით კანის ფერის შეცვლა, რომელსაც არატრადიციულს და ხალხურს უწოდებენ.“ — აღნიშნავენ მედიკოსები.

გასარუჯი საშუალებების არატრადიციულ გზებზე რომ ვისაუბროთ, სია ძალიან დიდი და მრავალფეროვანი იქნება. არაბუნებრივი საშუალებაა სოლარიუმი, რომლის დონე და ხარისხი განაპირობებს კანის ფერსა და შესაძლო ზიანს. სპეციალისტები კი მხარს არასდროს უჭერდნენ გარუჯვას სოლარიუმის საშუალებით.

მიმდინარე წელს, დამწვრობის ცენტრმა ოცამდე გარუჯვის შედეგად მიღებული დამწვრობის მქონე პაციენტს უმკურნალა. სპეციალისტებმა, მზის მომატებული რადიაციის გამო, საზოგადოებას მაღალი სტანდარტების შესაბამის სოლარიუმში გარუჯვა ურჩიეს და ყოველგვარი არატრადიციული, „ხალხური“ გზები უარყვეს. წინაღმდეგ შემთხვევაში, ზემონახსენები უმძიმესი შემთხვევებისაგან დაზღვეული არავინ იქნება.

ფერისცვალება

ტროპარი:

მთასა ზედა ფერი იცვალე, ქრისტე ღმერთო, და უჩუენე მოწაფეთა შენთა დიდებაჲ შენი ძალისაებრ მათისა და გამოგვიბრწყინვე ჩუენცამ ცოდვილთა ნათელი შენი მიუაჩრდილებელი, მეოხებითა ღმრთისმშობელისათა ნათლისა მომცემელო უფალო, დიდება შენდა.

კონდაკი:

მთასა ზედა ფერი იცვალე ქრისტე ღმერთო და რაოდენ ძალ-ედვა მოწაფეთა შენთა, დიდებაჲ შენი უჩუენე. რათა რაჟამს იხილონ ჯუარცმაჲ შენი, გულისხმა ჰყონ, ვითარმედ ვნებაჲ იგი ნებსით არს და სოფელსა უქადაგონ, ვითარმედ შენ ხარ ჭეშმარიტად ბრწყინვალებაჲ მამისა.

6(19) აგვისტოს მართლმადიდებელი ეკლესია მაცხოვრის ფერისცვალების დღესასწაულს აღნიშნავს, რომელიც 12 უდიდეს დღესასწაულთა რიცხვში შედის და უფალ იესო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების ერთ-ერთ ცნობილ ეპიზოდს უკავშირდება. ფერისცვალების შესახებ მოგვითხრობენ მახარებლები მათე (XVII, 1-13), მარკოზი (VI, 2-13) და ლუკა (IX, 28-36).

უფალმა თავის მოწაფეთაგან გამოირჩია პეტრე, იაკობი და იოანე და მათთან ერთად თაბორის მთაზე ავიდა სალოცავად. სანამ მაცხოვარი ლოცულობდა, დაღლილ მოწაფეებს ჩაეძინათ. გაღვიძებისას ნახეს, რომ იესო ქრისტემ ფერი იცვალა: „და იცუალა მათ წინაშე სხუად ფერად და განბრწყინდა პირი მისი ვითარცა მზე, ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაკ ვითარცა ნათელი“ (მათე XVII, 2). ამ დროს მაცხოვრის გვერდით ზეციური დიდებით შემოსილი მოსე და ელია წინასწარმეტყველი იდგნენ, რომლებიც მაცხოვართან იმ ვნებისა და ტანჯვის შესახებ საუბრობდნენ, რაც მას იერუსალიმში მოელოდა. ამის მნახველი მოწაფეები გამოუთქმელმა ნეტარებამ მოიცვა და პეტრემ წამოიძახა: „მოძღუარ კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფა. და ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: ერთი შენდა, ერთი მოსესა და ერთი ელიაისა“ (ლუკა IX, 33). ამ სიტყვების თქმის შემდეგ ნათელი ღრუბელი დაადგრა მათ, ხოლო ღრუბლიდან მოისმა ხმა ღვთისა: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო ვიყავ. მაგისი ისმინეთ“ (მათე XVII, 5). შეშინებული მოწაფეები პირქვე დაემხვნენ, მათთან იესო მივიდა, ხელი შეახო და უთხრა: „აღდეგით და ნუ გეშინინ“ (მათე XVII, 7). როცა მათ მიმოიხედეს, მოსე და ელია აღარსად იყვნენ.

მთიდან ჩამოსვლისას მაცხოვარმა გააფრთხილა მოწაფეები, რომ ეს ამბავი არავისთვის გაემხილათ, ვიდრე მკვდრეთით არ აღდგებოდა.

თაბორის მთაზე ფერისცვალებით უფალმა მოწაფეებს ხილული სახით უჩვენა თავისი ღმრთაებრივი დიდება - ღვთაებრივი, შეუქმნელი, მარადიული, ნათელი, უფრო ბრწყინვალე და წმიდა ვიდრე მზის სხივები, ნათელი, რომელიც მათ სულებს საოცარი სიხარულით, ზეციური სიმშვიდითა და ნეტარებით ავსებდა. მოწაფეთა წინაშე გაცხადდა მარადიული სიცოცხლის საიდუმლო, ანუ ის სიცოცხლის საიდუმლო, რომელიც მარადიულადაა გაცისკროვნებული ღმრთაებრივი ნათლით, და ამგვარ გაცხადებას წმიდა დიონისე არეოპაგელმა „დროული მარადისობა“ უწოდა. XIV საუკუნეში დიდი დავა იყო თაბორის ნათლის შესახებ. კათოლიკური აზროვნება და კერძოდ მისი წარმომქმნელი - კალაბრიელი ბერი ვარლამი ამ ნათლის მარადიულობასა და შეუქმნელობას უარყოფდა და მას ქმნილებად, დროში შექმნილად მიიჩნევდა. ამის საპირისპიროდ ცნობილი წმიდა მამა გრიგოლ პალამა ამტკიცებდა, რომ თაბორის ნათელი ეს არის ღმრთაებრივი ძალა, ენერგია, სხვაგვარად რომ ვთქვათ ღმერთი, რომელიც სრულიად მიღმიურია ხილული სამყაროსი, ამავე დროს თავისი ენერგიებით, მადლით ქმნის, იცავს და განმსჭვალავს მთელ ამ სამყაროს, რომ მაცხოვარმა თაბორზე მოწაფეები სწორედ ამ ღმრთაებრივი ძალის ხილვის ღირსი გახადა და არა რაღაც ზებუნებრივი სინათლისა, რომელიც თითქოს სწორედ ფერისცვალების სასწაულისათვის შეიქმნა. როგორც ამას ვარლამი ამტკიცებდა. ამ დავას გამოეხმაურნენ ათონელი ბერებიც, რომელნიც უდიდესი ასკეტური ღვაწლის წყალობით თვითონ გახდნენ ღირსნი, საღვთო ნათელს გაენათებინა მათი გულები. მათ კონსტანტინეპოლში გაგზავნეს „ტომოსი“, რომელშიც ადასტურებდნენ თაბორის ნათლის მარადიულობასა და ღმრთაებრიობას, კონსტანტინეპოლის ადგილობრივმა საეკლესიო კრებამ 1351 წელს დაგმო ვარლამის მცდარი სწავლება, ხოლო გრიგოლ პალამას შეხედულებები მართლმადიდებლურად აღიარა. თეოდორე ხარანელი მოგვითხრობს რა უფლის ფერისცვალების შესახებ თავის ქადაგებაში, პარალელს ავლებს მაცხოვარსა და მოსეს შორის. როგორც ვიცით, სინას მთიდან ჩამოსვლისას მოსეს სახეც ისე ბრწყინავდა, რომ ისრაელიანებმა მასთან მისვლა ვერ გაბედეს (გამოსვლ. 34, 30).

წმიდა თეოფანე წერს: „გარნა, ხოლო მათგან ყოვლისა განსრულებისა მისისა იყო ბრყწინვალებაჲ მოსესი, რამეთუ პირი ხოლო მისი ბრწყინვიდა და შინაგან არ აქუნდა ბრწყინვალებაჲ, ხოლო ქრისტესი ბრწყინვალებაჲ ყოვლითვე სრულ იყო: ვითარცა - გარეშე. ეგრეცა - შინაგან. მის გამო იყო ბრწყინვალებაჲ იგი და მის თანავე იყო, რამეთუ არა სხუისგან მოიღო“. ღვთის ძალით, ხოლო მაცხოვრის ბრწყინვალება „შინაგანი“ მისთვის მოუცილებელი რეალობაა, რომელიც მას მარადიულად თან ახლავს. თაბორის მთაზე უფალმა სულიერი თვალი აუხილა მოწაფეებს და მათაც იხილეს მისი დიდება იმდენად რამდენადაც ამ დიდების დატევნის შემძლებელნი იყვნენ, ანუ როგორც თეოდორე ხარენელი ამბობს: „არამედ რაიზომ შემძლებელნი იყვნეს, ეგრეით ეჩუენა“. იგივეს ვკითხულობთ ფერისცვალების დღესასწაულის ტროპარ-კონდაკშიც: „მთასა ზედა ფერი იცვალე, ქრისტე ღმერთო, და უჩუენე მოწაფეთა შენთა დიდება შენი ძალისაებრ მათისა“. ეს ყოველივე ეხმიანება წმიდა დიონისე არეოპაგელის სიტყვებს, რომელიც ამბობს, რომ: „ღვთაებრივი ყველას ეცხადება მათი დატევნის უნარის მიხედვით, ღვთაებრივის გაგების უნარის მიხედვით“. გაგება-დატევნის უნარი კი შეესაბამება ცალკეული ადამიანის სულიერ განვითარებასა და რელიგიურ გამოცდილებას. სწორედ ამით აიხსნება ეს ფაქტი, რომ მაცხოვარმა თაბორზე მხოლოდ სამი მოწაფე წაიყვანა და არა თორმეტი. რადგან თორმეტს შორის იყო იუდა. გამცემი და ღვთის მგმობელი, რომელიც არ იყო ღირსი ღმრთაებრივი ნათელის ხილვისა, რადგან მის გულში ჯოჯოხეთს დაესადგურებინა, იგი უკვე დათანხმებული იყო მაცხოვრის 30 ვერცხლად გაცემაზე. ამიტომაც უფლის დიდების მხილველნი პეტრე, იაკობი და იოანე არიან, რომელთაც შემდგომ თავის მხრივ უნდა განემტკიცებინათ და გაეძლიერებინათ სხვა მოციქულები მომავალი განსაცდელის ჟამს.

მოწაფეებმა მაცხოვართან მოსაუბრე ძველი აღთქმის ორი უდიდესი წინასწარმეტყველი მოსე და ელია იხილეს. როგორც წმიდა მაქსიმე აღმსარებელი წერს: „უფლის ფერისცვალებისას თაბორის მთაზე ნაჩვენები იქნა ცხონების სამი გზა: სათნოების, შემეცნებისა და ღვთისმეტყველებისა, პირველი ორი გზა ელიასა და მოსეს სახით წარმოჩინდა, ხოლო ღვთისმეტყველებას თავად მაცხოვარი წარმოადგენდა“.

პეტრეს სიტყვები: „კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფაჲ“ გამოხატავს მოწაფეთა უდიდეს სურვილს უსასრულოდ გაგრძელდეს ფერისცვალების დრო, როგორც ზეციური სასუფევლის სიხარული, მაგრამ ეს ასე არ ხდება. რადგან სასუფეველის დასამკვიდრებლად საჭირო იყო ცხოვრებისეული თავგანწირვა, მოციქულებრივი ღვაწლი და მოწამეობრივი სიკვდილი. მაცხოვრისათვის თაბორი წინ უსწრებს გოლგოთას, ხოლო ქრისტიანისათვის გოლგოთა წინ უსწრებს თაბორს.

ფერისცვალების ნათელი ხატებზე წმიდანთა თავზე დამდგარი შარავანდედის სახით გამოისახება. იგია ძვირფასი გვირგვინი, რომლითაც უფალი სულიერ ბრძოლაში გამარჯვებულთ აჯილდოებს.



მეუღლე მანანა ბიკაშვილი, შვილები:ლევანი, ნათია; სიძე ირაკლი ფიროსმანაშვილი, შვილიშვილი საბა ფიროსმანაშვილი, და ციცინო, დისქმარი გურამ ნატროშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ნოდარ უზუნაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 18 აგვისტოს 2 საათზე, ქ. დედოფლისწყაროში, ევდოშვილისქ. №9.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო თანაგრძნობას უცხადებს ილია ტალიაშვილს მამიდის

მაყვალა ტალიაშვილი-კანდელაკიშვილის

გარდაცვალების გამო.

ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის IV^{ბ} კლასის მოსწავლეები და მშობლები თანაგრძნობას უცხადებენ კლასის დამრიგებელს ციცინო უზუნაშვილს ძმის

ნოდარ უზუნაშვილის

გარდაცვალების გამო.

ქ.დედოფლისწყაროს ევდოშვილის ქუჩის მცხოვრებლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ნოდარ უზუნაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

სიდედრი თამარ ლოლაშვილი, სიმამრი რობინზონი, ცოლისძმა დავით ბიკაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან სიძის

ნოდარ უზუნაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

შვილები: ვასილი, ნათია მოსულიშვილები, სიძე ხვიჩა ისაკაძე, შვილიშვილები: ალეკო,დათო, მერი ისაკაძეები, ძმა დურმიშხანი, რძალი ზეინაბი, დისშვილები, ძმისშვილები, მულისშვილები და ახლობლები ოჯახებით იუწყებიან

პელო (პელაგია) მოსულიშვილ-ჭიღიტაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 19 აგვისტოს, 2 საათზე სოფელ ზემო მაჩხაანში.

მარინე, გურამი და ვანო მილაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ მანანა ბიკაშვილს-მეუღლის; ნათია და ლევან უზუნაშვილებს-მამის; თამრიკო, რობინზონ, დავითს-სიძის

ნოდარ უზუნაშვილის

გარდაცვალების გამო.

ტესტი

გიყვართ გართობა?

მეგობრებთან ერთად გართობა ბევრისთვის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ზოგიერთი, მიუხედავად მძიმე სამუშაო დღისა, ამ სიამოვნებაზე უარს არ ამბობს. მეტიც - გართობას ხშირად საქმეს, ოჯახს, საკუთარ სიმშვიდესა და ჯანმრთელობასაც კი ანაცვალებს. თუმცა ისეთი ადამიანებიც არსებობენ, რომლებსაც განმარტოება ან მშვიდ, მყუდრო გარემოში, ოჯახურ იდილიაში დასვენება ურჩევნიათ. მოდი, შევამოწმოთ, გიყვართ თუ არა გართობა. გულწრფელად უპასუხეთ მოცემულ კითხვებს. კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში დაიწერეთ ერთი ქულა. ქულები შეკრიბეთ.

1) გიყვართ სეირნობა?

2) გიყვართ სტუმრების გამასპინძლება?

3) არ გიჭირთ მეგობრების ხათრით წვრილმანებზე უარის თქმა?

4) შინ ყოველთვის მოგეპოვებათ რამე მოულოდნელი სტუმრების გასამასპინძლებლად?

5) სასურველ ადამიანთა კომპანიაში შეგიძლიათ დალიოთ უფრო მეტი, ვიდრე ისურვებდით?

6) გიყვართ კარგი სამზარეულო?

7) ხშირად მართავთ წვეულებებს?

8) გყავთ მეგობრები, რომლებსაც რეგულარულად ხვდებით?

9) გიყვართ მეგობრების წრეში სიმღერა?

10) გიყვართ კარგ კომპანიაში ყოფნა?

11) ადვილად მოდიხართ გუნებაზე?

12) ადვილად ურიგდებით ადამიანს, რომელთანაც უთანხმოება მოგივიდათ?

13) როდესაც წარსულზე საუბრობთ, უმეტესად სასიამოვნო ამბებს იხსენებთ?

14) როგორ ფიქრობთ, კარგი სახის ფერი გაქვთ?

15) როდესაც თავს შეუძლოდ გრძნობთ, შეგიძლიათ, ეს არ შეიმჩნიოთ და თავი ისე დაიჭიროთ, თითქოს ყველაფერი რიგზეა?

16) სათანადო ყურადღებას უთმობთ საკუთარ ჯანმრთელობას?

17) ხშირად იღვიძებთ თავატკივებული, გამოუძინებელი?

18) ხდება ისე, რომ დილით სამსახურში წასვლის ძალა არ შეგწევთ, რადგან წინა ღამით მოილხინეთ და მეტისმეტად გვიან დაწექით დასაძინებლად?

19) თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ექიმი მოწევასა და დალევას აგიკრძალავთ, შეძლებთ, უარი თქვათ ამ მავნე ჩვევებზე?

20) ერთხელ მაინც გიფიქრიათ: "არასოდეს დავიცავ დიეტას, რაც არ უნდა მოხდეს"?

21) ჭარბი წონა ხომ არ გაქვთ?

22) ხშირად მიბრძანდებით გასართობად მეუღლის, პარტნიორის გარეშე?

23) გიყვართ კომედიები?

24) ღამით გვიან დაწოლა გჩვევიათ?

25) დილაობით ადგომა გიჭირთ?

26) გიყვართ კლოუნადა?

27) ხშირად იგვიანებთ შეხვედრებზე?

28) სამსახურში ხშირად ხუმრობთ?

29) ყოველთვის ხართ მზად, საქმე მეორე დღისთვის გადადოთ და გასართობად გაეშუროთ?

დააჯამეთ ქულები

18-დან 22-მდე - გართობის დიდი მოყვარული ბრძანდებით. იმდენად დიდი, რომ მზად ხართ, მას სამსახური და ჯანმრთელობაც კი შესწიროთ. ხომ არ გეჩვენებათ, რომ მეტისმეტად ლაღ ცხოვრებას ეწევით?

13-დან 17-მდე - გონიერი ბრძანდებით, ზომიერება არც მხიარულებისა და გართობის დროს გღალატობთ, თუმცა შეიძლება ისეც მოხდეს, რომ თავი დაკარგოთ. ეს კატასტროფა არ არის - გააჩნია თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობას და სამსახურებრივ წარმატებებს.

8-დან 12-მდე - თქვენ შეგიძლიათ დატკბეთ სიცოცხლით, მაგრამ ზომიერად. სამსახური და ოჯახი თქვენთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე გართობა. შეგიძლიათ, კარგად დაისვენოთ, თუ, რა თქმა უნდა, ეს ზიანს არ მიაყენებს თქვენს მოვალეობას.

3-დან 7-მდე - თქვენ იშვიათად ერთობით. ალბათ ამიტომაც გიჭირთ იმ სიამოვნებათა დაფასება, ცხოვრება რომ გვთავაზობს. მეტისმეტად გონიერი ხართ და მშვიდ, გაწონასწორებულ, კარგად ორგანიზებულ ცხოვრებას ამჯობინებთ. თითქოს გეშინიათ კიდეც გადაჭარბების, ჩარჩოების დამსხვრევის.

1 ან 2 ქულა - თქვენ შექმნილი ხართ ისეთი ცხოვრებისთვის, რომელიც გართობის მოყვარული ადამიანისთვის აუტანელი იქნებოდა. თქვენ ამ უკანასკნელის საპირისპირო კატეგორიას ეკუთვნით. თქვენმა ასეთმა ხასიათმა შესაძლოა ბევრი დააფრთხოს.

ულოცავენ!

თამარ ბაბიაშვილს!

ჩვენო თამარ, გილოცავთ დაბადების დღეს.

მისაბაძია შენი მიზანდასახულობა, შრომისმოყვარეობა, მოტივაცია, რის შემწეობითაც ხარ სამაგალითო დედა და მასწავლებელი.

ასეთი შემართებით იარე კვლავ და იცოცხლე დიდხანს!

შენი თანაკლასელები.

თამარ ღორაშვილს!

ჩვენო უსაყვარლესო და ულამაზესო თაკო, 18 აგვისტოს 18 წლის გახდი. გილოცავთ საიუბილეო თარიღს. ჯანმრთელობა, სიკეთე და სიყვარული იყოს შენი მეგზური.

გილოცავთ ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარებას. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს.

პაპა სპორტაკი და ბებია თამარი,
სოფელი გამარჯვება

დედოფლისწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრი ღირსების მედლებითა და ორდენებით დაჯილდოებას ულოცავს თანამშრომლებს: ცარო მარტიაშვილს, ვისერგი გუმაშვილს, კახა ნიკლაურს და დავით გონაშვილს. უსურვებს მათ ჯანმრთელობას და ენერგიას, რათა კვლავ მეტი შემართებით იღვაწონ ქართული კულტურისა და სპორტის სფეროში.

იყიდება!

იყიდება ნიკორციხის ქ. № 39- ში ორსართულიანი კერძო ბინა, ყოფილი ვეტ- აფთიაქის შენობა. დაინტერესებულმა პირებმა დარეკეთ ტელეფონის ნომერზე 551 58 68 80.

სასწრაფოდ იყიდება ორსართულიანი კაპიტალური ბინა ქალაქ დედოფლისწყაროში. კარგ მდგომარეობაში ეზოთი, ბაღით, დამხმარე სათავსოებით, ავტოფარეხით, უზრუნველყოფილი წყლით, ბუნებრივი აირით, ჭით. დაინტერესებული პირები დაგვიკავშირდით 592 78 53 42 ან 555 32 58 34

ქ. დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქ.№26 (აფთიაქის გვერდით), პირველ სართულზე იყიდება ერთოთახიანი ბინა, რომელიც გამოიყენება როგორც საცხოვრებლად, ასევე კომერციული საქმიანობისთვისაც. ყიდვა შეიძლება განვადებითაც. დაინტერესებულმა პირებმა დარეკეთ: 571 55 99 51. იკითხეთ ლია. ფასი შეთანხმებით

იყიდება მაღაზიის შენობა დედოფლისწყაროში ყველა საჭირო ინვენტარით. 100 კვადრატული მეტრი სავაჭრო დარბაზით, 200 კვადრატული მეტრი დამხმარე სათავსოებით და ეზოს ფართით. მსურველებმა დარეკეთ შემდეგ ნომრებზე: **599 26 80 28; 557 75 03 01**

ამინდი

დედოფლისწყარო

	შაბათი 18.08		კვირა 19.08		ორშაბათი 20.08		სამშაბათი 21.08		ოთხშაბათი 22.08		ხუთშაბათი 23.08		პარასკევი 24.08	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	30°	25°	29	21°	27°	23°	26°	23°	27°	24°	30°	20°	23°	21°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

ნომრის რედაქტორი **ინგა შიოლაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (კორესპონდენტები); მიხეილ მლეზრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
დაიბეჭდა შ.პ.ს „საარის“ სტამბაში

რედაქციის მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K